გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 69

2023 წლის 18 აპრილი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახრელში შიდა სასოფლო გზაზე (სასაფლაოს მისასვლელთან) საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა ქვახრელის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელმა და ითხოვა სოფელ ქვახვრელში ახლად მოასფალტებულ შიდა სასოფლო გზაზე (სასაფლაოსთან მისასვლელთან) საგზაო ნიშნების განთავსება. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელ ქვახრელში განთავდეს შემდგომი საგზაო ნიშნები:- 5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ქვახვრელი"; -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ქვახვრელი"; -1.12.1-სახიფათო მოსახვევი; -1.12.2-სახიფათო მოსახვევი.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელ ქვახვრელში განთავდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:-5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ქვახვრელი"; -5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ქვახვრელი"; -1.12.1-სახიფათო მოსახვევი; -1.12.2-სახიფათო მოსახვევი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მულის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. განთავსდეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში შემდეგი საგზაო ნიშნები:
ა)-5.23.1- დასახლებული პუნქტის დასაწყისი „ქვახვრელი";
ბ)-5.24.1- დასახლებული პუნქტის დასასრული „ქვახვრელი";
გ)-1.12.1-სახიფათო მოსახვევი;
დ)-1.12.2-სახიფათო მოსახვევი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3.განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**